



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
**ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება**

N 105/02-06  
13/02/2019

105-02-06-4-201902131739



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი ლავრელაშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მივლინებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილების, „უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის № 220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „პ“ ქვეპუნქტების, "სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის 12/04 ერთობლივი ბრძანების მე-13 და მე-14 პუნქტების, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას 2019 წლის 5 თებერვლის №1751/10 განცხადების (თან ახლავს პირადი განცხადება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 16 თებერვლიდან 28 აპრილის ჩათვლით ქალაქ პოტსდამში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გრავიტაციული ფიზიკის მაქს პლანკის ინსტიტუტში, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად და თეორიული კოსმოლოგიის ჯგუფის სემინარზე „უარყოფითი მოდის პრობლემის ახალი კოსმოლოგიური ასპექტები“ მოხსენების წასაკითხად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი გიორგი ლავრელაშვილი;
2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს, გასცეს სამივლინებო სადღეღამისო ხარჯი 2499.56 ლარი (ნაწილობრივ), უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი №1);

3. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება 2019 წლის 2 აპრილიდან 2019 წლის 28 აპრილის ჩათვლით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს გიორგი ლავრელაშვილს;
  4. დაევალოს გიორგი ლავრელაშვილს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;
  5. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი).
  6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
- ნუნუ ოვსიანიკოვა


ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ანდრია რაჭმაძის სახელობის მათემატიკის  
ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის გიორგი  
ლავრელაშვილის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში  
მივლინების ხარჯთაღრიცხვა

1. სადღეღამისო ხარჯი:(ნაწილობრივ)

25 დღე X 33.43 ევრო X 2.9908 ლარი =2499.56 ლარი

სულ: 2499.56 ლარი

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:  სადარეიშვილი